

1) მასწავლებელმა დაფაზე ოთხი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი დაწერა. მოსწავლემ მასწავლებლის მიერ დაწერილი რომელიღაც ორი რიცხვი წაშალა. ამის შემდეგ დაფაზე დაწერილი დარჩა რიცხვები 6 და 8. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

ა) რამდენი რიცხვი დაწერა მასწავლებელმა დაფაზე?
 1) ერთი 2) ორი 3) სამი **4) ოთხი** 5) ხუთი

ბ) რამდენი რიცხვი წაშალა მოსწავლემ?
 1) ერთი **2) ორი** 3) სამი 4) ოთხი 5) ხუთი

გ) რა რიცხვები წაშალა მოსწავლემ?
 1) 4 და 5 2) 7 და 9 3) 2 და 4 4) 5 და 7 **5) ამის გაგება შეუძლებელია**

2) თერმოსი 62 ლარი ღირს, ხოლო ზურგჩანთა – 73 ლარი. თერმოსი, ზურგჩანთა და საძილე ტომარა ერთად 86 ლარით მეტი ღირს, ვიდრე – თერმოსი და ზურგჩანთა ერთად. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

ა) რა ღირს ზურგჩანთა?
 1) 26 ლარი 2) 37 ლარი 3) 62 ლარი **4) 73 ლარი** 5) 86 ლარი

ბ) რა ღირს თერმოსი?
 1) 26 ლარი 2) 37 ლარი **3) 62 ლარი** 4) 73 ლარი 5) 86 ლარი

გ) რა ღირს საძილე ტომარა?
 1) 68 ლარი **2) 86 ლარი** 3) 135 ლარი 4) 148 ლარი 5) 159 ლარი

3) შეკრიბეს სამი რიცხვი. პირველი შესაკრები მეორე და მესამე შესაკრებების ჯამის ტოლია. მეორე შესაკრები არის 8. მესამე შესაკრები 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მეორე შესაკრები. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

ა) რას უდრის მეორე შესაკრები?
 1) 4-ს 2) 6-ს **3) 8-ს** 4) 12-ს 5) 16-ს

ბ) რას უდრის მესამე შესაკრები?
1) 4-ს 2) 6-ს 3) 8-ს 4) 12-ს 5) 16-ს

გ) რამდენით მეტია ამ სამი რიცხვის ჯამი მეორე შესაკრებზე?
 1) 6-ით 2) 12-ით **3) 16-ით** 4) 20-ით 5) 24-ით

4) ბაბუას ფულის მხოლოდ ერთი კუპიურა აქვს. თუ იგი ამ ფულით ექვს ათლარიან ტორტს და ერთ ნამცხვარს იყიდის, მაშინ მას 37 ლარი ხურდა ერგება. ცნობილია, რომ ბაბუა თავისი ფულით თერთმეტ ათლარიან ტორტს ვერ იყიდის.
პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ა) რა ღირს ტორტი?
2) 10 ლარი

ბ) რამდენი ლარი ერგება ხურდა ბაბუას, თუ იგი თავისი ფულით ექვს ათლარიან ტორტს და ერთ ნამცხვარს იყიდის?
3) 37 ლარი

გ) რამდენლარიანი აქვს ბაბუას?
4) 100-ლარიანი

დ) რა ღირს ათი ნამცხვარი?
3) 30 ლარი

5) ამის გაგება შეუძლებელია, რადგან არ ვიცით რამდენლარიანი კუპიურა მისცა ბაბუამ გამყიდველს

5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია დანარჩენებისგან განსხვავებული სიგრძე?
4) 5000 მმ

6) ქუჩაზე 3 საცხოვრებელი კორპუსი დგას: 1 ხუთსართულიანი, 1 – რვასართულიანი, 1 – ათსართულიანი. ნინო მესხეთე სართულზე ცხოვრობს, ლადო კი – მეცხრეზე. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა აუცილებლად მცდარი (არასწორი)?

- ლადო შეიძლება ხუთსართულიან კორპუსში ცხოვრობდეს;
- ლადო შეიძლება რვასართულიან კორპუსში ცხოვრობდეს;
- ნინო შეიძლება ათსართულიან კორპუსში ცხოვრობდეს;
- ნინო და ლადო შეიძლება ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ.



1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) არცერთი

7) დაფაზე წერია ათი კენტი რიცხვი. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?


- დაფაზე დაწერილი ნებისმიერი 2 რიცხვის ჯამი კენტი რიცხვია;
- დაფაზე დაწერილი ნებისმიერი 3 რიცხვის ჯამი კენტი რიცხვია;
- დაფაზე დაწერილი ნებისმიერი 4 რიცხვის ჯამი ლუწი რიცხვია;
- დაფაზე დაწერილი ნებისმიერი 5 რიცხვის ჯამი ლუწი რიცხვია.

1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) არცერთი

8) კვადრატის შიგნით დასმულია ორი წერტილი. თითოეულ წერტილზე უნდა გავავლოთ ერთი წრფე. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?


- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს სამ ნაწილად;
- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს ოთხ ნაწილად;
- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს ხუთ ნაწილად;
- წრფეების გავლების შედეგად კვადრატი შესაძლებელია დაიყოს ექვს ნაწილად.

1) 1 2) 2 3) 3 4) 4 5) არცერთი

 9) A, B, C და D ქალაქები ისეა განლაგებული, რომ არცერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე (სურათი 1). A ქალაქიდან შესაძლებელია მივიდეთ მხოლოდ C ქალაქში ან B ქალაქში. C ქალაქიდან შესაძლებელია მივიდეთ მხოლოდ B ქალაქში ან D ქალაქში. B ქალაქიდან შესაძლებელია მივიდეთ მხოლოდ D ქალაქში. რამდენი განსხვავებული გზით არის შესაძლებელი A ქალაქიდან D ქალაქში მისვლა?

A . B .
D . C .
სურათი 1


- 1) ორი 2) სამი 3) ოთხი 4) ხუთი 5) ექვსი

 10) იამ ჩაიფიქრა რიცხვი. მან ამ რიცხვის შესახებ თქვა სამი წინადადება:

1. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვი მეტია 20-ზე და ნაკლებია 50-ზე.
2. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვის ციფრთა ჯამი არის ან 8, ან 9.
3. ჩემ მიერ ჩაფიქრებული რიცხვი უნაშთოდ იყოფა ან 6-ზე, ან 8-ზე.


რა რიცხვი ჩაიფიქრა იამ, თუ მას ტყუილი არ უთქვამს?

- 1) 18 2) 32 3) 36 4) 45 5) 54


 11) ბიბლიოთეკაში 9 ესპანურენოვანი, 7 ქართულენოვანი და რამდენიმე ფრანგულენოვანი წიგნი მიიტანეს. ესპანურენოვან წიგნებს შორის სქელყდიანია 3 წიგნი, ქართულენოვან წიგნებს შორის კი – 2. ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რამდენია მცდარი (არასწორი), თუ ასევე ცნობილია, რომ ბიბლიოთეკაში სულ 8 სქელყდიანი წიგნი მიიტანეს?

- ბიბლიოთეკაში შეიძლება მიეტანათ 20 წიგნი;
- ბიბლიოთეკაში შეიძლება მიეტანათ 19 წიგნი;
- ბიბლიოთეკაში შეიძლება მიეტანათ 18 წიგნი;
- ბიბლიოთეკაში შეიძლება მიეტანათ 17 წიგნი.

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) ოთხი 5) არცერთი


 12) გოჩამ დაფაზე ორნიშნა რიცხვი დაწერა, რომელსაც მაიკომ მარჯვნიდან ერთნიშნა რიცხვი მიუწერა. მიღებული სამნიშნა რიცხვი გოჩამ გაანახევრა და პასუხი რვეულში ჩაწერა. გოჩას მიერ რვეულში ჩაწერილი რიცხვის სამზე გაყოფის შედეგად მაიკომ 23 მიიღო. რა რიცხვი დაუწერია გოჩას დაფაზე?

- 1) 138 2) 69 3) 38 4) 23 5) 13

 13) კოტეს პატარა ლურჯი ფანქარი აქვს, თომას კი – დიდი მწვანე ფანქარი. თამუნას იმხელა ფლომასტერი აქვს, რამხელა ფანქარიც აქვს კოტეს. თამუნას ფლომასტერი და თომას ფანქარი ერთი და იმავე ფერისაა. როგორი ფლომასტერი აქვს თამუნას?

- 1) თამუნას აქვს დიდი ლურჯი ფლომასტერი;
- 2) თამუნას აქვს პატარა ლურჯი ფანქარი;
- 3) თამუნას აქვს დიდი მწვანე ფლომასტერი;
- 4) თამუნას აქვს პატარა მწვანე ფანქარი;

5) თამუნას აქვს პატარა მწვანე ფლომასტერი.

 14) ათკილოგრამიანი საზამთრო 30 ლარით ძვირი ღირს, ვიდრე ხუთკილოგრამიანი ნესვი. რა ღირს ერთი კილოგრამი საზამთრო, თუ ხუთკილოგრამიანი საზამთრო ხუთკილოგრამიან ნესვზე 3 ლარით ძვირი ღირს?

- 1) 3 ლ. 2) 5 ლ. 3) 6 ლ. 4) 5 ლ. და 40 თ. 5) 4 ლ. და 50 თ.